



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება:ბ92. 92230558

თარიღი:24/02/2023

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 36-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებლობა დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის "სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის" სპეციალისტს მარიამ გოგოლაძეს

მუხლი 2. ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 20 ივნისის N1942/ს ბრძანება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის დადგენის შესახებ“.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

